საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე: კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე: კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი: კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ს.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ლ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 032/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 07 მარტს მ. ს.-მ საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ მ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა ოჯახმა შპს „კ.-სგან“ ისესხა 4100 ევრო და ხელზე გადაეცა 3300 ევრო. დაახლოებით 6 თვის განმავლობაში თანხას განრიგის მიხედვით იხდიდნენ თვიურად 4.5%-ში. კრედიტორმა მოსთხოვა დავალიანების ერთიანად დაფარვა. მისმა ოჯახმა ვერ შეძლო თანხის გადახდა, რის გამო აღმასრულებელი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მის ბინას გაიტანდნენ აუქციონზე, შეიძენდა ბანკი და შემდეგ ბანკისაგან შეძლებდა გამოსყიდვას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დახმარება შესთავაზა ადვოკატმა მ. მ.-მ. საჩივრის ავტორი შეხვდა მ. მ.-ს მის საადვოკატო ბიუროში. მ. მ.-მ იმავე დღეს შეახვედრა რამდენიმე პიროვნებას, რომლებიც იყვენენ თანხის პროცენტით გამცემები, თუმცა პროცენტი იმდენად დიდი იყო, რომ მ. ს. არ დათანხმდა მათ. ადვოკატმა მ. მ.-მ იმავე საღამოს შეახვედრა ადვოკატ დ. დ.-ს და უთხრა მ. ს.-ს, რომ ის დაეხმარებოდა აღსრულების საკითხებში. ადვოკატმა დ. დ.-მ უთხრა, რომ იგი თავად იყიდდა სახლს აუქციონზე და გააფორმებდა მეუღლის, მ. ხ.-ს სახელზე. ასევე, ადვოკატი დაჰპირდა, რომ სესხს გაუკეთებდა „რ. კ.-დან“, რომლის ხელმძღვანელი იყო მისი მეუღლე. სესხი იქნებოდა 2%-იანი და სანამ კრედიტს არ დაფარავდა, ბინა მისი მეუღლის სახელზე იქნებოდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ აუქციონზე შეიძინა მისი ბინა 18 000 აშშ დოლარად, თუმცა მოგვიანებით საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა, რომ ბინა აუქციონზე 13958.15 ლარად გაიყიდა. დ. დ. საჩივრის ავტორის დახმარებით წავიდა იუსტიციის სახლში და ბინა მ. ხ.-ს სახელზე გადააფორმა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2-3 თვის შემდეგ იგი ადვოკატს რამდენჯერმე დაუკავშირდა და სთხოვა დანაპირები სესხის ხელშეკრულების გაფორმება 6266.01 აშშ დოლარის ოდენობით. მაგრამ ადვოკატს მისთვის სესხი არ გაუკეთებია. აძლევდა ფუჭ დაპირებებს. ადვოკატ დ. დ.-ს არ გადაუცია არავითარი სესხი მისთვის. ატყუებდა და გაყალბებულ დოკუმენტებზე აწერინებდა ხელს. ადვოკატი ასევე თაღლითური გზით დაეუფლა სააღსრულებო ბიუროს მიერ მის ანგარიშზე ჩარიცხულ 13958.15 ლარს. ადვოკატმა დ. დ.-მ მრავალჯერ დატვირთა მისი ბინა იპოთეკით და საჩივრის ავტორისათვის შეუძლებელი გახდა ბინის უკან დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. მ.-მ 2019 წლის 20 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განაცხადა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მისი მისამართით არის უსაფუძვლო.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი მუშაობს საადვოკატო ბიუროში დ. დ.-სთან ერთად. მას დაუკავშირდა ახლობელი, რომელმაც სთხოვა დახმარებოდა მ. ს.-ს, რათა მისი ბინის აუქციონზე გაყიდვა არ მომხდარიყო. ადვოკატი მ. მ. შეხვდა მ. ს.-ს და მოისმინა რა მისი გასაჭირი, გადაწყვიტა ადვოკატ დ. დ.-სთან გადაემისამართებინა, რადგან თვითონ არ იყო აღსრულების საკითხებში გარკვეული, ამასთან ძალიან შეეცოდა მ. ს. და მისი დახმარება სურდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. ს.-სა და ადვოკატ დ. დ.-ს შორის შეხვედრა მოხდა დ. დ.-ის მანქანაში, მათ საუბარს თავადაც დაესწრო. ადვოკატმა დ. დ.-მ აუხსნა მას, რომ აუქციონის შეჩერებას ვერ შეძლებდა და ერთადერთი გამოსავალი იყო მ. ს.-ს აეღო სესხი სხვა მისკროსაფინანსო ორგანიზაციისგან და თავად შეეძინა ბინა აუქციონზე, მაგრამ მას სესხს უზრუნველყოფის გარეშე საკრედიტო ორგანიზაციები არ აძლევდნენ, ბინას კი ყადაღა ედო აღსრულებიდან. მ. ს.-მ ადვოკატს უთხრა, რომ თანხა აპრილის შუა რიცხვებში ექნებოდა ხელზე. ამიტომ ადვოკატმა დ. დ.-მ შესთავაზა, რომ თავისი მეუღლის სახელით იყიდდა აუქციონზე მის სახლს და როდესაც აპრილის თვეში თანხა ექნებოდა, უკან გადაუფორმებდა ბინას. მ. ს.-ს ძალიან გაუხარდა და დათანხმა აღნიშნულ პირობაზე. ადვოკატი დ. დ. და მ. ს. შეთანხმდნენ მომსახურების საფასურზე 1000 ლარის ოდენობით, რის გამო მ. ს. კმაყოფილი დარჩა.

2.4 ადვოკატის მ. მ.-ის განმარტებით, მ. ს. მისით ძალიან მადლიერი იყო, რადგან ადვოკატ დ. დ.-სთან შეახვედრა და ბინა გადაურჩინა გაყიდვას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, რამდენიმე თვის შემდეგ ადვოკატი დ. დ. დაუკავშირდა მას და სთხოვა მ. ს.ს დაკავშირებოდა, რათა ბინა გადაეფორმებინა თავის სახელზე უკან. რამდენიმე დღის შემდეგ, სს „ფ. ბ.-ის“ ოფისში შეხვდნენ ერთმანეთს ადვოკატი მ. მ. და მ. ს.. როდესაც ადვოკატმა მ. მ.-მ ჰკითხა მას, რატომ არ იფორმებდა ბინას უკან, მ. ს.-მ გაბრაზებით უპასუხა, რომ ყველანი თაღლითები იყვნენ და პროკურატურაში უჩივლებდა მათ. როგორც ადვოკატ მ. მ.-ისათვის გახდა ცნობილი მ. ს. საპროცენტო განაკვეთის გამო იყო გაბრაზებული. ამის შემდეგ ადვოკატი მ. მ. მას არც შეხვედრია და არც დაურეკავს მისთვის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 მ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 07 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2012-2013 წლებში.

4. შემაჯამებელი დასკვნა

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, “დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) “. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა მ. ს.-მ უარი თქვა საჩივარზე 2019 წლის 15 აპრილის განცხადებით, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №032/19 ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/